

საპრეზენტაციო პროგრამა
MS PowerPoint 2016

26. პრეზენტაცია

ახალი იდეების, პროექტების, პროდუქტების, საქმიანობების და სხვა სიახლეების შესახებ ინფორმაციის გადმოსაცემად ადამიანები ხშირად მიმართავენ პრეზენტაციას. პრეზენტაცია არის რაიმე თემის საზოგადოების წინაშე წარდგენის პროცესი, რომლის მიზანია მსმენელისთვის ინფორმაციის მიწოდება გასაგები და საინტერესო ფორმით.

ადამიანი ინფორმაციას უკეთ აღიქვამს, თუ ის ვიზუალურად არის გაფორმებული. სწორედ ამიტომ, პრეზენტაციის ეფექტურად წარდგენისათვის იყენებენ სხვადასხვა ვიზუალურ მასალას: სქემებს, სურათებს, ცხრილებს, დიაგრამებს და ა.შ.

დღეს, ციფრულ ერაში, ფართოდ გამოიყენება ელექტრონულ ფორმატში მომზადებული პრეზენტაციები, რომლის შექმნის საშუალებასაც გაძლევს კომპანია **Microsoft**-ის პროგრამა **PowerPoint**. მისი საშუალებით შენ შეძლებ საინტერესო და ეფექტური პრეზენტაციების მომზადებას.

საპრეზენტაციო პროგრამა

პროგრამის გასახსნელად **Start** მენიუში მოძებნე **MS PowerPoint 2016**-ის 

პიქტოგრამა და ერთხელ დააწკაპუნე.



პროგრამა **PowerPoint 2016**-ის საპრეზენტაციო ფაილი – **სლაიდების** – ფურცლების ერთობლიობაა. თითოეულ სლაიდში შეგიძლია ტექსტების, სურათების, ცხრილების, ფიგურების, სქემების, დიაგრამების ჩასმა.

PowerPoint 2016-ის პროგრამის გახსნისთანავე ეკრანზე გამოჩნდება შაბლონების ჩამონათვალი. აირჩიე შაბლონი: **ცარიელი პრეზენტაცია (Blank Presentation)**. გაიხსნება პირველი სლაიდი, რომელიც პრეზენტაციის სათაურის და ქვესათაურის დასაწერად გამოიყენება.



© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

პრეზენტაციის დიზაინი

პრეზენტაციის შექმნისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციო მის დიზაინს. პროგრამა **PowerPoint**-ი სლაიდებისთვის დიზაინის მზა ფორმებს გთავაზობს. მათ შესარჩევად **დიზაინი (Design)** ჩანართის **თემები (Themes)** ჯგუფიდან აირჩიე ერთ-ერთი თემა.



დიზაინის ყველა თემის სანახავად დააწკაპუნე ჯგუფის მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ ღილაკს.



თემის არჩევის შემდეგ **დიზაინი (Design)** ჩანართის **ვარიანტი (Variants)** ჯგუფიდან შესაძლებელია თემის სხვა ვარიანტის შერჩევა.

სასურველია, დიზაინი შენი პრეზენტაციისთვის სლაიდებზე მუშაობის დაწყებამდე შეარჩიო, თუმცა მისი შეცვლა მუშაობის პროცესშიც შეგიძლია.



დიზაინი (Design) ჩანართის ჯგუფიდან **მორგება (Customize)** შეგიძლია განსაზღვრო სლაიდის ზომა და სლაიდის ფონი.

ᲘᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔ!

შექმენი პრეზენტაციის პირველი სლაიდი საქართველოს ეროვნული პარკების შესახებ.



1. პირველ სლაიდზე დაწერე პრეზენტაციის სათაური და ქვესათაური;
2. შეარჩიე დიზაინის თემა **Crop** და თემის ვარიანტი ნიმუშის მიხედვით.



© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

ახალი სლაიდის ჩასმა



ახალი სლაიდის დასამატებლად ჩამოშალე **საწყისი (Home)** ჩანართის ბრძანება **ახალი სლაიდი (New Slide)**. ჩამონათვალიდან შეარჩიე სლაიდის სასურველი მაკეტი. მაკეტის შერჩევისას გაითვალისწინე, თუ რა სახის ინფორმაციის განთავსებას აპირებ სლაიდზე.

გავაგრძელოთ პრეზენტაციაზე მუშაობა. პრეზენტაციას ეროვნული პარკების შესახებ დაამატე ორი ახალი სლაიდი – **სათაური და შიგთავსი (Title and Content)** და მოცემული ნიმუშის მიხედვით გააფორმე.

2

3



სურათის ჩასმა სლაიდზე



სლაიდები შეგიძლია სურათებით გააფორმო. სლაიდზე სურათის ჩასასმელად აირჩიე **ჩასმა (Insert)** ჩანართის **ნახატები** ჯგუფიდან ბრძანება **სურათები (Pictures)** ან **სურათები ინტერნეტიდან (Online Pictures)**.

ინტერნეტში მოიძიე საქართველოს რუკა ეროვნული პარკების შესახებ და შენ მიერ შექმნილ მესამე სლაიდზე ჩასვი ნიმუშის მიხედვით. მეოთხე სლაიდისთვის აირჩიე მაკეტი – **სურათი წარწერასთან (Picture with Caption)**. სლაიდზე ჩასვი ალგეთის ეროვნული პარკის სურათი მაკეტზე არსებულ ღილაკზე – **სურათები (Pictures)** დაწკაპუნებით და გააფორმე სლაიდი ტექსტით ნიმუშის შესაბამისად.

3

4

PowerPoint პროგრამაში ტექსტის და სურათების დაფორმატების ბრძანებების გამოყენება ისევე შეგიძლია, როგორც ამას პროგრამა Microsoft Word-ში აკეთებ.

ყურადღება მიაქციე!

პრეზენტაციის შენახვა და გახსნა

საპრეზენტაციო პროგრამაში უკვე შექმენი ოთხი სლაიდი. ვნახოთ, როგორ შეიძლება მისი შენახვა. ამისათვის:



- აირჩიე **ფაილი (File)** ჩანართის **შენახვა (Save)** ბრძანება;
- მაუსის ღილაკზე ორჯერ დაწკაპუნებით აირჩიე ბრძანება – **ეს კომპიუტერი (This PC)**;
- მოიფიქრე პრეზენტაციის სახელი, მაგალითად, „**ეროვნული პარკები**“ და ჩაწერე ველში **ფაილის სახელი (File Name)**;
- დააჭირე ღილაკს **შენახვა (Save)**.



შენახული პრეზენტაციის გასახსნელად:

- აირჩიე **ფაილი (File)** ჩანართის **გახსნა (Open)** ბრძანება;
- მაუსის ღილაკზე ორჯერ დაწკაპუნებით აირჩიე ბრძანება – **ეს კომპიუტერი (This PC)**;
- მოძებნე შენი ფაილი და დააჭირე ღილაკს **გახსნა (Open)**.

მოქმედებები სლაიდებზე

პრეზენტაციაზე მუშაობისას შესაძლოა დაგჭირდეს სლაიდის გადაადგილება, დუბლირება, სლაიდის მაკეტის შეცვლა, წაშლა და სხვა.



სლაიდებზე მოქმედებების შესასრულებლად **სლაიდების სამართავ პანელზე**, სლაიდის კონტექსტური მენიუდან აირჩიე ბრძანება:

ახალი სლაიდი (New Slide) – ახალი სლაიდის ჩასასმელად.

სლაიდის დუბლირება (Duplicate Slide) – სლაიდის დასაკოპირებლად;

სლაიდის წაშლა (Delete Slide) – სლაიდის წასაშლელად;

განლაგება (Layout) – სლაიდის მაკეტის შესაცვლელად;

სლაიდების თანმიმდევრობის შესაცვლელად მაუსის საშუალებით გადააადგილე ისინი სლაიდების სამართავ პანელზე.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

პრეზენტაციაზე მუშაობისას გაითვალისწინე:

- სლაიდებზე მოათავსე ძირითადი და საინტერესო ინფორმაცია. დანარჩენზე კი პრეზენტაციის წარდგენისას ისაუბრე;
- სლაიდს ისეთი ფონი შეურჩიე, რომ მასზე მოთავსებული ტექსტები, სურათები, სქემები და ა.შ. კარგად გამოჩნდეს;
- ყოველი სლაიდისათვის ერთი და იგივე დიზაინი გამოიყენე, რომ პრეზენტაციის მთლიანობა არ დაირღვეს;
- სათაურებს შეურჩიე ერთი და იგივე ზომის ფონტი და მდებარეობა;
- თუ გინდა, ტექსტი ადვილად აღსაქმელი იყოს შენი მსმენელებისათვის, თითოეულ სლაიდზე მცირე ტექსტი და ცოტა სურათი ჩასვი;
- სურათები შეუსაბამე სლაიდის სათაურსა და ტექსტებს;
- პრეზენტაციაში ყოველთვის მიუთითე გამოყენებული ლიტერატურა.

დაასრულე პრეზენტაცია საქართველოს ეროვნული პარკების შესახებ ნიმუშის მიხედვით და შეინახე.

ივარჯიშე!

პრეზენტაციის ჩვენებაზე გაშვება – Slide Show

აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის წარსადგენად დაგჭირდება საპრეზენტაციო ფაილის ჩვენების რეჟიმზე ჩართვა. პრეზენტაციის გაშვება შესაძლებელია **სლაიდ-შოუ (Slide Show)** ჩანართის **სლაიდ-შოუს დაწყება (Start Slide Show)** ჯგუფის ბრძანებებით.



პრეზენტაციის ჩვენება პირველი სლაიდიდან

პრეზენტაციის ჩვენება აქტიური სლაიდიდან

პრეზენტაციის ჩვენება შერჩეული სლაიდებით

პრეზენტაციის ჩვენებაზე გაშვება პირველი სლაიდიდან	F5
პრეზენტაციის ჩვენებაზე გაშვება აქტიური სლაიდიდან	Shift + F5
პრეზენტაციის ჩვენების შეწყვეტა	Esc

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

პრეზენტაციის წარდგენისას გაითვალისწინე:

- წინასწარ მოემზადე პრეზენტაციისთვის. გაითვალისწინე აუდიტორია ვისთვისაც აკეთებ პრეზენტაციას;
- პრეზენტაციის დაწყებამდე მოამზადე საპრეზენტაციო გარემო და ტექნიკური საშუალებები;
- საუბრის დაწყებამდე წარუდგინე მსმენელებს საკუთარი თავი;
- პრეზენტაციის დასაწყისში მოკლედ აუხსენი აუდიტორიას, თუ რაზე აპირებ საუბარს. გამოყავი ძირითადი მიზნები;
- პრეზენტაციის დროს ისაუბრე გასაგებად და დამაჯერებლად, ეცადე ტექსტები არ წაიკითხო სლაიდებიდან;
- საუბრისას ხაზი გაუსვი ძირითად აზრებს და იდეებს;
- პრეზენტაციის დროს დაამყარე კავშირი აუდიტორიასთან, დაუსვი მათ კითხვები;
- პრეზენტაციის დასასრულს შეაჯამე პრეზენტაცია და მადლობა გადაუხადე აუდიტორიას;
- პრეზენტაციის შემდეგ უპასუხე აუდიტორიის შეკითხვებს.

ივარჯიშე!

მოიძიე სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებაზე საინტერესო ფაქტები და ნიმუშის შესაბამისად შექმენი პრეზენტაცია „სატრანსპორტო საშუალებები“.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

27. ფოტოალბომი

პროგრამა **PowerPoint**-ი საშუალებას გაძლევს მარტივად და ძალიან სწრაფად შექმნა ციფრული ფოტოალბომი. ამისათვის საჭიროა წინასწარ მოაგროვო სურათები შენს კომპიუტერში. ფოტოალბომის შესაქმნელად:



- აირჩიე **ჩასმა (Insert)** ჩანართის **ნახატები (Images)** ჯგუფის ბრძანება **ფოტოალბომი/ახალი ფოტოალბომი (Photo Album/New Photo Album...)**;



- გახსნილ ფანჯარაში აირჩიე ღილაკი **ფაილი/დისკი (File/Disk...)**. კომპიუტერში მოძებნე და მონიშნე სურათები. **ჩასმა (Insert)** ღილაკით გადმოიტანე სურათები ფოტოალბომში;
- ფოტოალბომის შესაქმნელად დააჭირე ღილაკს **შექმნა (Create)**.

ფანჯარაში **ფოტოალბომი (Photo Album)** შეგიძლია გაუკეთო წარწერები სლაიდებს ყოველი სურათის ქვემოთ, შეარჩიო რამდენი სურათი განლაგდეს სლაიდზე, ჩარჩოს ფორმა და სხვ.





ფოტოალბომის რედაქტირებისთვის აირჩიე **ჩასმა** ჩანართის **ნახატები** ჯგუფის ბრძანება – **ფოტოალბომი/ფოტოალბომის რედაქტირება**.

შექმნილ ფოტოალბომს შეგიძლია შეურჩიო დიზაინი, დაამატო სლაიდები და სხვა.

შექმენი შენი საყვარელი ქალაქის, რაიონის, სოფლის ან დაბის ფოტოალბომი.

ივარჯიშე!

28. ცხრილები და დიაგრამები პრეზენტაციაში

ცხრილების ჩასმა სლაიდზე

გაიხსენე, რა არის ცხრილი და როგორ ქმნი მას ტექსტურ რედაქტორში. საპრეზენტაციო ფაილში ცხრილის ჩასმა და დაფორმატება ისევე შეგიძლია, როგორც ამას პროგრამა **Microsoft Word**-ში აკეთებ.



სლაიდზე ცხრილის ჩასმა შესაძლებელია:

- **ჩასმა** ჩანართის ბრძანებით – **ცხრილი (Tables)**;
- სლაიდის მაკეტზე მოთავსებული ღილაკით – **ცხრილის ჩასმა (Insert Table)**.

დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ცხრილს. მასში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017-2023 წლებში წყლის სპორტულ სახეობებში მსოფლიო შეჯიბრის განრიგის შესახებ. შეეცადე ეს ცხრილი საპრეზენტაციო სლაიდზე განათავსო.

წელი	თარიღი	ადგილმდებარეობა
2017 წელი	14-30 ივლისი	ბუდაპეშტი, უნგრეთი
2019 წელი	12-28 ივლისი	გუანჯუ, სამხრეთ კორეა
2021 წელი	16 ივლისი - 1 აგვისტო	ფუკუოკა, იაპონია
2023 წელი	6 – 22 ოქტომბერი	დოჰა, კატარი

სლაიდზე ცხრილის ჩასასმელად შემდეგი მოქმედებები შეასრულე:

- აირჩიე **ჩასმა** ჩანართის ბრძანება – **ცხრილი**;
- მაუსის დახმარებით ცხრილის ბადეზე მონიშნე სამი სვეტი და ხუთი სტრიქონი და ცხრილის ჩასმა სლაიდზე დააფიქსირე მაუსით.



სლაიდზე ცხრილი დაიხაზება.

ცხრილის დიზაინი სლაიდის დიზაინზეა დამოკიდებული. სტრიქონებისა და სვეტების ფერები სლაიდის დიზაინის შესაბამისად ავტომატურად ფორმდება. შეგიძლია გამოიყენო უკვე ნასწავლი ბრძანებები და ცხრილი შენი გემოვნებით გააფორმო.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

ივარჯიშე!

მოიძიე ინფორმაცია ინტერნეტში და შექმენი პრეზენტაცია წყლის სპორტულ სახეობებში მსოფლიო შეჯიბრის შესახებ, პრეზენტაციაში გამოიყენე შენ მიერ შექმნილი ცხრილი.

დიაგრამების ჩასმა სლაიდზე

ცხრილში წარმოდგენილი რიცხვითი მონაცემების უკეთ აღსაქმელად, მათი შედარებისა და ანალიზისათვის საუკეთესო გზაა მონაცემების დიაგრამის სახით წარმოდგენა.

დააკვირდი ცხრილს. მასში მოცემულია ინფორმაცია იმ ორი ქვეყნის შესახებ, რომელთაც წყლის სპორტული სახეობების მსოფლიო ჩემპიონატებში 2017 წლამდე ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს.

ქვეყანა	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
აშშ	253	193	140
ჩინეთი	130	95	71

გააკეთე ჩემთან ერთად!

თითოეული ქვეყნის მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობა წარმოვადგინოთ დიაგრამის სახით:

- აირჩიე **ჩასმა** ჩანართის ბრძანება – **დიაგრამა (Chart)**;
- გამოსულ ფანჯარაში შეარჩიე დიაგრამის ტიპი, მაგალითად: **გისტოგრამა (Column)**. მონიშნე ამ კატეგორიიდან სასურველი ნიმუში და დააწკაპუნე ღილაკს – **კარგი**.
- სლაიდში განთავსდება დიაგრამა, მის ზემოთ კი გამოჩნდება ცხრილის ფანჯარა, რომელშიც დიაგრამის ასაგებად საჭირო მონაცემები უნდა ჩაწეროთ.





- მონაცემების შეტანის შემდეგ განსაზღვრე შენ მიერ შეტანილი მონაცემების დიაპაზონი, ამისათვის ნიმუშის შესაბამისად გადაანაცვლე ლურჯი ჩარჩო მაუსის საშუალებით.
- მონაცემების შეტანის შემდეგ დახურე ცხრილის ფანჯარა.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

ცხრილში შეტანილი მონაცემები დიაგრამაზე აისახება.



დიაგრამის ფერების, სტილისა და ფორმის შესაცვლელად გამოიყენე დამატებითი ჩანართი – **დიაგრამის ხელსაწყოები (Chart Tools): დიზაინი (Design)** და **ფორმატი (Format)**, რომელიც დიაგრამის მონიშვნის შემდეგ ჩნდება.



დიაგრამაზე მონაცემების შესაცვლელად გამოიყენე **დიაგრამის ხელსაწყოები/დიზაინი** დამატებითი ჩანართის ბრძანება – **მონაცემთა რედაქტირება/მონაცემთა რედაქტირება (Edit Data)**.

დიაგრამის ჩასმა ასევე შეგიძლია სლაიდის მაკეტზე მოთავსებული ღილაკით – **დიაგრამის ჩასმა (Insert Chart)**.

SmartArt გრაფიკა

SmartArt გრაფიკა ინფორმაციის ორგანიზებულად წარმოდგენის ერთ-ერთი საშუალებაა.

სლაიდზე **SmartArt**-ის ჩასასმელად შეასრულე მოქმედებები:

- აირჩიე **ჩასმა** ჩანართის ბრძანება – **SmartArt**;
- გახსნილ ფანჯარაში მონიშნე სასურველი სქემა, მაგალითად: **გადანაცვლებული სურათის სათაურის სია (Bending Picture Caption List)**;
- დააწკაპუნე ღილაკზე **კარგი**.



შერჩეული სქემა სლაიდზე განთავსდება.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

სქემაში შეგიძლია ტექსტის და სურათის ჩასმა. ტექსტის ჩასასმელად დააწკაპუნე ტექსტურ არეში და ჩაწერე ტექსტი, ხოლო სურათის დასამატებლად სქემაზე მოცემული სურათის გამოსახულებას დააწკაპუნე.



სქემის მარცხენა მხარეს მოთავსებულ ღილაკზე დაწკაპუნებით გაიხსნება დამატებითი არე, რომლითაც შეგიძლია:

- დაამატო ახალი ფიგურა **Enter** კლავიშზე დაჭერით;
- წაშალო ზედმეტი ფიგურა;
- დაამატო სასურველი ინფორმაცია.

სქემის ფერების, განლაგების, სტილის შესაცვლელად გამოიყენე დამატებითი ჩანართი – **SmartArt-ის ხელსაწყოები**: **დიზაინი** და **ფორმატი**, რომელიც სქემის მონიშვნის შემდეგ ჩნდება.

SmartArt ხელსაწყოები/დიზაინი დამატებითი ჩანართის **გრაფიკის შექმნა (Create Graphic)** ჯგუფი საშუალებას გაძლევს მარტივად მართო **SmartArt** სქემის ფიგურები: შეცვალო იერარქიის დონე ან ფიგურების თანმიმდევრობა, სქემას დაამატო ახალი ფიგურა და სხვ.



ივარჯიშე!

ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით სლაიდზე შექმენი SmartArt სქემა კონტინენტების შესახებ.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

29. ანიმაციები

იმისათვის, რომ შენი პრეზენტაცია მეტად საინტერესო და ეფექტური გახდეს, შეგიძლია ანიმაციები გამოიყენო. საპრეზენტაციო ფაილში ანიმაციის ფუნქცია ქმნის ვიზუალურ და ხმოვან ეფექტებს, რომელიც სლაიდებს ან სლაიდის ობიექტებს შეგიძლია დაურთო.

სლაიდის გადასვლის ეფექტები

პრეზენტაციის ჩვენების დროს სლაიდიდან სლაიდზე გადასასვლელად შეგიძლია გამოიყენო სპეციალური ანიმაციური ეფექტი. შეგიძლია აკონტროლო სლაიდიდან სლაიდზე გადასვლის ეფექტი, სიჩქარე და დაამატო ხმა.

სლაიდიდან სლაიდებზე გადასვლის სპეციალური ეფექტის დასამატებლად გააქტიურე სლაიდი და აირჩიე **გადასვლები (Transitions)** ჩანართის **ამ ცოცხალზე გადასვლა (Transition to The Slide)** ჯგუფში მოცემული ეფექტები.



სლაიდის გადასვლის მეტი ეფექტების სანახავად დააწკაპუნე ჯგუფის მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ ღილაკს. პროგრამა გვთავაზობს გადასვლის მრავალგვარ ეფექტს, რომელიც დაყოფილია სამ ძირითად კატეგორიად: **უბრალო (Subtle)**, **რთული (Exciting)** და **დინამიური შიგთავსი (Dynamic Content)**. მაუსის დახმარებით სლაიდისათვის შეარჩიე ერთ-ერთი ეფექტი, მაგალითად: **გაელვება (Flash)**.

იმ სლაიდს, რომელსაც ეფექტს მიანიჭებ, სლაიდების პანელზე სლაიდის ნომრის ქვეშ გაუჩნდება ვარსკვლავი.

გადასვლის ეფექტის შერჩევის შემდეგ შეგიძლია ზოგიერთ ეფექტს გადასვლის მიმართულება შეუცვალო. ამისათვის გამოიყენე ბრძანება **ეფექტების პარამეტრები (Effect Options)**.

პრეზენტაციის სლაიდ-შოუს რეჟიმში გაშვებამდე შეგიძლია შეარჩიო სლაიდებისათვის გადასავლის დამატებითი პარამეტრები:



© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

ობიექტის ანიმაციები

საპრეზენტაციო ფაილში სლაიდების ცალკეულ ობიექტებზე შესაძლებელია ანიმაციების დამატება, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის შენს პრეზენტაციას.

სლაიდზე ანიმაციის დასამატებლად მონიშნე ობიექტი და შეასრულე მოქმედებები:



- აირჩიე **ანიმაციები (Animations)** ჩანართის **ანიმაცია (Animation)** ჯგუფში მოცემული ანიმაციები;
- ანიმაციების ეფექტები დაყოფილია ოთხ ჯგუფად: **შესასვლელი (Entrance)**, **მახვილი (Emphasis)**, **გამოსვლა (Exit)** და **მოძრაობის მდებარეობა (Motion Paths)**;
- სლაიდის თემისა და მიზნის გათვალისწინებით შეგიძლია ობიექტებს თითოეულ ჯგუფიდან განსხვავებული ანიმაცია შეურჩიო. მაგალითად **შესასვლელი** ჯგუფიდან **ანიმაცია საათის ისარი (Wheel)**.

ამ ანიმაციის შერჩევის შემდეგ ობიექტი საათის ისრის მიმართულებით ნელ-ნელა გამოჩნდება. შერჩეულ ანიმაციას შეგიძლია შეურჩიო დამატებითი პარამეტრები ბრძანებიდან **ეფექტის პარამეტრები (Effect Options)**.



ობიექტზე დამატებულ ანიმაციებს განუსაზღვრე დაწყების, ხანგრძლივობის, დაყოვნების დრო ჯგუფიდან **დროის შერჩევა (Timing)**.



ობიექტებზე დამატებული ანიმაციების რედაქტირებისა და მართვისთვის გამოიყენე **ანიმაციები** ჩანართის **გაძლიერებული ანიმაცია (Advanced Animation)** ჯგუფის ბრძანებები.

ანიმაციის სარკმელი (Animation Pane) ბრძანებით შეგიძლია ანიმაციების სამართავი პანელის გახსნა. ეკრანის მარჯვენა მხარეს, პანელზე, გამოჩნდება ანიმაციები, რომლებიც მიმდინარე სლაიდის ობიექტებზე გაქვს დამატებული. ამ პანელიდან მარტივად შეძლებ ანიმაციის წაშლას, თანმიმდევრობის შეცვლას, დროის სკალის ნახვას და რედაქტირებას.



ანიმაციების შესრულების თანმიმდევრობა მათი დამატების რიგითობას შეესაბამება. თანმიმდევრობის შესაცვლელად გადაადგილე ანიმაცია მაუსის გამოყენებით.



თუ გსურს ანიმაციის დამატებითი პარამეტრების შერჩევა, მონიშნე ანიმაცია და დააწკაპუნე მარჯვენა მხარეს მოთავსებულ ისარს. ჩამონათვალში შეგიძლია განსაზღვრო ანიმაციის შესრულების პირობა, ხანგრძლივობა და სხვ.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე



ერთ ობიექტზე გამოყენებული ანიმაციების სხვა ობიექტზე გავრცელება მარტივად შეგიძლია **ანიმაციები (Animations)** ჩანართის ბრძანებით – **ანიმაციის მხატვარი (Animation Painter)**.

ამისათვის მონიშნე ობიექტი, რომელსაც უკვე დაამატე ანიმაციები, აირჩიე ბრძანება **ანიმაციის მხატვარი (Animation Painter)**. დააწკაპუნე მაუსი იმ ობიექტს, რომელსაც გინდა ავტომატურად დაამატო შერჩეული ანიმაციები.

ივარჯიშე!



1. შექმენი პრეზენტაცია – **„კომპიუტერის მოწყობილობები“** ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით. სლაიდებს გაუკეთე გადასვლის ეფექტები, ობიექტებს გაუკეთე ანიმაციები.

2. მოცემული ნიმუშის მიხედვით დაასრულე პრეზენტაცია კონტინენტების შესახებ. გამოიყენე დიაგრამები და ანიმაციები.



© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

30. ბმული და მოქმედების ღილაკები

ინტერნეტში ვებგვერდების დათვალიერებისას ხშირად გხვდება ჰიპერბმულები, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა ვებგვერდი ერთმანეთს უკავშირდება. ჰიპერბმულის გამოყენება **Powerpoint**-შიც შეგიძლია. მისი საშუალებით ტექსტი, სურათი, ფიგურა ან დიაგრამა შეგიძლია იმავე პრეზენტაციის სხვა სლაიდთან, ფაილთან, საქაღალდესთან, ან ვებგვერდთან დააკავშირო.

გააკეთე ჩემთან ერთად!

გახსენი შენ მიერ შექმნილი პრეზენტაცია „**კომპიუტერის მოწყობილობები**“ და მეორე სლაიდზე ჩამოთვლილი მოწყობილობების დასახელებები ბმულების საშუალებით შესაბამის სლაიდებს დავუკავშიროთ:

- მონიშნე ტექსტი **სისტემური ბლოკი;**
- აირჩიე **ჩასმა (Insert)** ჩანართის **ბმულები (Links)** ჯგუფის ბრძანება – **ბმული (Hyperlink)**;



- გახსნილი ფანჯრის მარცხენა პანელში შეარჩიე ბმულის სახეობა – **განთ. დოკუმენტ... (Place in This Document)**
- არეში **ადგილის არჩევა მოცემულ დოკუმენტში (Select a place in this document)** შეარჩიე სლაიდი, რომელსაც მონიშნულ ტექსტს უკავშირებ ბმულის საშუალებით, ჩვენს შემთხვევაში, სლაიდი **სისტემური ბლოკი**;





- შერჩეული სლაიდი **სლაიდის გადახედვა (Slide preview)** არეში გამოჩნდება;
- დააწკაპუნე ღილაკს **კარგი**. მონიშნულ ტექსტზე ბმული შეიქმნება.

შექმენი ბმულები დანარჩენ ტექსტზეც და შეინახე პრეზენტაცია.

პრეზენტაციის ჩვენებისას თუ მაუსს ბმულიან ობიექტთან მიიყვან, კურსორი მიიღებს ხელის ფორმას. მასზე დაწკაპუნებით ბმული გაიხსნება.

ობიექტზე ბმულის გასაუქმებლად, მისი მონიშვნის შემდეგ, გამოიყენე კონტექსტური მენიუს ბრძანება – **ბმულის ამოღება (Remove Hyperlink)**.



© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

გარდა ბმულებისა, მონიშნულ ობიექტს შეგიძლია მიანიჭო მოქმედება, რომელიც შესრულდება ობიექტზე მაუსის დაწკაპუნების ან კურსორის მიახლოვებისას. მაგალითად, შეგიძლია შემდეგ სლაიდზე გადასვლა ან ახალი პროგრამის გახსნა და სხვ.

გააკეთე ჩემთან ერთად!



- გახსენი შენ მიერ შექმნილი პრეზენტაცია „**კომპიუტერის მოწყობილობები**“;
- მესამე სლაიდზე „სისტემური ბლოკი“ დახატე ფიგურა „მარცხენა ისარი“ **ჩასმა (Insert)** ჩანართის ბრძანებით – **ფიგურები (Shapes)**;
- მონიშნე დახატული ფიგურა და აირჩიე **ჩასმა (Insert)** ჩანართის **ბმულები (Links)** ჯგუფის ბრძანება – **მოქმედება (Action)**;

- გახსნილ ფანჯარაში გააქტიურე ველი **ბმულები (Hyperlink to)** და ჩამონათვალში აირჩიე – **წინა სლაიდი (Previous Slide)**;



- დააწკაპუნე ღილაკს **კარგი**. ფიგურაზე შეიქმნა ბმული;
- პრეზენტაციის ჩვენებისას ამ ფიგურაზე დაწკაპუნებით წინა სლაიდზე დაბრუნდები.



ივარჯიშე!



1. პრეზენტაციაში „კომპიუტერის მოწყობილობები“ ჩასვი ობიექტები და მიანიჭე მათ სხვადასხვა მოქმედებები **ჩასმა** ჩანართის ბრძანებით – **მოქმედება**. იზრუნე, რომ შენი პრეზენტაცია ჩვენებისას ეფექტური იყოს.

2. ბმულებისა და მოქმედების ღილაკის გამოყენებით შექმენი პრეზენტაცია „**ვიქტორინა**“, სადაც გამოიყენებ კითხვებს სხვადასხვა საგნიდან.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

31. სლაიდების დაბეჭდვა

შენი შექმნილი პრეზენტაციის სლაიდები შეგიძლია დაბეჭდო ფურცლებზე, ამისათვის გახსენი პრეზენტაცია და აირჩიე:

- **ფაილი (File)** ჩანართის ბრძანება – **ბეჭდვა (Print)**;
- გახსნილ ფანჯარაში შეარჩიე ბეჭდვის პარამეტრები დააჭირე ღილაკს **ბეჭდვა (Print)**;



© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

32. პრეზენტაციაში შაბლონების გამოყენება

შენ უკვე შეისწავლე ტექსტური რედაქტორში შაბლონების გამოყენება. საპრეზენტაციო პროგრამაშიც შეგიძლია მზა შაბლონებით ისარგებლო.

ამჯერად პროგრამა **PowerPoint**-ში შაბლონის გამოყენებით პოსტერის შექმნას ისწავლი. პოსტერი შეიცავს როგორც ტექსტურ, ასევე გრაფიკულ ინფორმაციას. მისი მიზანია საზოგადოების ინფორმირება, მაგალითად, გარკვეული პროდუქციის, მომსახურების ან განხორციელებული პროექტისა თუ კვლევის შესახებ.

პოსტერის სტანდარტული ფორმატია: **A2**, **A3** და **A4.**

პოსტერის შექმნა

როდესაც ახალ პრეზენტაციას ირჩევ, ცარიელი პრეზენტაციის გვერდით სხვადასხვა შაბლონს ხედავ. პოსტერის შაბლონის მოსაძებნად ველში **შაბლონებისა და თემების ინტერნეტში ძიება (Search for online templates and themes)** ჩაწერე **poster** და დააჭირე ძიების ღილაკს.

გამოჩნდება პოსტერის შაბლონები.



აირჩიე ერთ-ერთი შაბლონი და დააწკაპუნე ღილაკს **შექმნა (Create)**.



ეკრანზე გაიხსნება სლაიდი, რომელშიც შეგიძლია ჩაწერო ტექსტი, შეცვალო სურათი, დიაგრამა. ეს შაბლონი დაგეხმარება სწრაფად და მარტივად შექმნა გაფორმებული პოსტერი.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

შექმნილი პოსტერი შეინახე გრაფიკულ ფორმატში. ამისათვის:

- აირჩიე **ფაილი** ჩანართის **შენახვა** ბრძანება;
- მაუსის ღილაკზე ორჯერ დაწკაპუნებით აირჩიე ბრძანება – **ეს კომპიუტერი**;
- მოიფიქრე პოსტერის სახელი, და ჩაწერე ველში **ფაილის სახელი**;

  ველიდან **ფაილის ტიპი** შეარჩიე გრაფიკული ფორმატი მაგალითად: **.tiff;**
- დააჭირე ღილაკს **შენახვა**;
- გამოსულ ფანჯარაში რომელი ფაილების ექსპორტირება გსურს აირჩიე ღილაკი **მხოლოდ ეს**;





- შენი შექმნილი პოსტერი შეინახება გრაფიკულ ფორმატში.

ივარჯიშე!

კომპლექსური დავალება: მოიძიე ინფორმაცია გლობალური დათბობის შესახებ და მოამზადე ქვემოთ მოცემული ნიმუშის მსგავსი საინფორმაციო პოსტერი. გამოიყენე პროგრამა **Powerpoint**-ის შაბლონები.



პროექტი: „ჩემი ელექტრონული წიგნი“.

პროგრამა **Powerpoint**-ში შექმენი ელექტრონული წიგნი.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე